ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №133

2011 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „საქართველო" სასტუმრო „ჯორჯია პალასი"-სათვის მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა მონტაჟისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ შ.პ.ს. „საქართველო" სასტუმრო „ჯორჯია პალასი" აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა მონტაჟს, რუსთაველის ქუჩა №172-ში განთავსებული ქვესადგურიდან, რუსთაველისა და ვერულიძის ქუჩის გადაკვეთამდე სავალი გზის გასწვრივ, დავით აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთით სასტუმრო „ჯორჯია პალას"-ამდე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №-57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „საქართველო" სასტუმრო „ჯორჯია პალასს" ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა მონტაჟი, რუსთაველის ქუჩა №172-ში განთავსებული ქვესადგურიდან, რუსთაველისა და ვერულიძის ქუჩის გადაკვეთამდე სავალი გზის გასწვრივ, დავით აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთით სასტუმრო „ჯორჯია პალას"-ის სატრანსფორმატორო ჯიხურამდე (977 მ) და აღმაშენებლის გამზირის №263-დან სასტუმრო „ჯორჯია პალას"-ის სატრანსფორმატორო ჯიხურამდე (866 მ).

2. შ.პ.ს. „საქართველო" სასტუმრო „ჯორჯია პალას" -მა ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა მონტაჟისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „საქართველო" სასტუმრო „ჯორჯია პალასი" მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

4. შ.პ.ს. „საქართველო" სასტუმრო „ჯორჯია პალას" -მა უზრუნველყოს მაღალი ძაბვის კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი", შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET", ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია", ს.ს. „სილქნეტი", შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი", აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილი გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

5.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**